53
126
ბ. 363(ა)
28/III

ფარული

ამომავალი კლასის შვილი

ფარული

რევოლუს-ის სსრ.ცენტრკომიტეტის.

№ 1-(13)

ტფილისი

იანვარი—1926

რემედას-ი რ. კ. პ. XIV ყრილობას

რუსეთის კომუნისტური პარტია, მრავალ მილიონიან მუშებისა და გლეხების დახმარებით, წარმოადგენს უდიდეს და უძლიერეს ძალას, რომელიც აცახცახებს მთელ კაპიტალურ ქვეყნებს. თავის ეკონომიურ-პირობების აღდგენის დროს, რომელიც მტკიცე ნაბიჯით მიემართება საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი ბელადის ვ. ი. ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, ეს სწორი და უტყუარი ნაბიჯები ს. ს. რ. შეერთებული კავშირის მშრომელი მასსისა, რომელიც ჩაბმულია სოციალისტური სახემწიფოს აშენებაში, ლენინის კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვინელობით, ამზადებს ნიადაგს, საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისათვის.

კაპიტალისტური მსოფლიო, დარწმუნებულია იმაში, რომ ის დღეს თუ ხვალ უნდა დაინგრეს, გამხეცებული ეძებს ისტორიაში თავის საბედისწერო გამოსავალს. ჯერ არ ნახული, ჯერ არ გაგონილი, არც ერთ ისტორიულ ეპოქაში, თეთრი ტერორი, პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენელთა მასიური ამოჟლეტა, დარბევა და განადგურება პატარა ერებისა. ჯაშუშობა, პროვოკაცია, მუშათა მასიური დახვრეტები, დამასკის საშინელი ამბები, თათარბუნარელთა გასასამართლების კომედია, მათი აჯანყების მოწყობა, ცანკოვის საშინელებანი, პოლონეთის ოხრანკის „საგმირო“ საქმები, და სხვ. და. სხვ. აი ყველა ის მეთოდები, რომლითაც ბურჟუაზია ლამობს შეინარჩუნოს თავისი ჟამგასული რეჟიმი.

ჯერ კიდევ 1922 წ. როდესაც იმპერიალისტური ომის შედეგები და 1921 წ. შიმშილი მთელი თვისი სიმძიმით სულს უხუთავდა საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატი, მიუხედავად თავისი მეტად მძიმე პირობებისა, მხნედ და ერთსულოვნად გამოეხმაურა რ. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის გამოძახილს, მან დაამტკიცა ისტორიაში ჯერ არ გაგონილი საერთაშორისო ერთსულოვნება.

ს. ს. რ. კავშირის პროლეტარიატმა დაარსა საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრ დამხმარე ორგანიზაცია **რემედას.** ამით მან დაამტკიცა თუ, როგორ შეუძლია ღარიბ ქვეყნის, ეკონომიურად უძლურ პროლეტარიატს დახმარება გაუწიოს ქვეყნის სხვა კუთხეებში რევოლიუციისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ პროლეტარიატს დაეხმაროს.

სამი წლის არსებობით და ენერგული მუშაობით რემედას-მა შესძლო მთელი ქვეყნიერება მოეფინა მისი ორგანიზაციებით, ის ისე ძლიერად გაიზარდა, რომ ხელს უწყობს და აქტიურ დახმარებას უწევს თეთრ ტერორთან მებრძოლ პროლეტარიატს არა მარტო იდეურად არამედ მატერიალურადაც.

ორგანიზაცია თავისი ლოზუნგებით, ნებაყოფლობითი შეწირულების პრინციპზე, მრავალ მილიონიან უპარტიო და გლეხთა, მასსებით რემედას-ი კომინტერნის ხელმძღვანელობით კაპიტალისტური ქვეყნებში ანხორციელებს ერთიან ფრონტის იდეას. ს. ს. რ. შეერთებულ კავშირში, კი, რემედას-ი კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის დახმარებით პირნათლად ასრულებს მუშებისა და გლეხების ფართე მასესების რევოლიუციონურად აღზრდას და მათში საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობის განმტკიცებას, ეხმარებიან პარტიას და ხელს უწყობენ მას ნაციონალურ განკერძოების თავიდან აშორებაში.

ვესალმებით რა **ლენინის** პარტიის XIV ყრილობას, რემედას-ის მრავალ მილიონიან წევრებისა, და კაპიტალისტურ ქვეყნების ციხე-სიმაგრეებში მოქცეულ ამხანაგების სახელით, რემედას-ი აცხადებს რომ პარტიის ხელმძღვანელობით და დახმარებით ის მომავალშიაც განაგრძობს თავის მუშაობას, რომელიც ემსახურება საერთაშორისო მუშათა კლასის ძლიერი წითელი ზურგის გამაგრებას.

გაუმარჯოს რუსეთის კომუნისტურ პარტიას!
გაუმარჯოს საერთაშორისო სოლიდარობას!
გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას?
გაუმარჯოს რ. კ. პ. XIV ყრილობას. რემედას-ის ალმასრ. კომიტეტი.
რემედას-ის ს. ს. რ. ც. კომიტეტი.

რემედას-ის ყოველი წევრის მოვალეობას უნდა შეადგენდეს თავის ქურნალ რემედას-ის გავრცელება ფართო მასსებში.

რემედას-ს საქართველოში 85 ათასი წევრი ეავს. ქურნ. რემედას-ი ათიათასი მაინც უნდა გავრცელდეს. ათ წევრზე ერთი ქურნალი, აი ჩვენი სადღეისო ლოზუნგი.

ქურ. რემედას-ის ტირაჟის ათი ათასამდე აუვანით შევსძლებთ ჩვენ ქურნალის გაიაფებას, რაც სელმისაწვდომად გახდის მას ყველა მშრომელთათვის.

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რემედა

ხელისმოწ. პირობები:
ერთი თვით—20 კაპ.
ორი „ 35 „
სამი „ 50 „
ექვსი „ 1 მ.
ერთი წლით 2 მ.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, კომინტერნ-ის ქ., № 5 II-რე სართ.
ტელეფონი 4—87.

№ 1—13 რემედას-ის საქართვ. ცენტრ. და ტფილისის კომიტ. ყოველთ. ორგანო. იანვარი **1926**

59
153
1926

რემედას-ის საკავშირო ცეკას პლენუმის გამო.

მიმდინარე წლის იანვრის დამლევს დამთარდა რემედას-ის საკავშირო რესპუბლიკების ცეკას პლენუმი. ამ პლენუმის წინაშე იდგა ფრიად საჭირ-ბოროტო და საპასუხისმგებლო საკითხები. აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ რემედას-ის საკავშირო რესპუბლიკების ყრილობის შემდეგ პირველად მოიყარა თავი სხვა კუთხეებში მომუშავე რემედას-ის აქტივმა, რომელსაც მიეცა საშუალება ჩამოეყალიბებნა თავისი გამოცდილებანი და გამოემუშავებინა მომავალი მუშაობის გეგმა.

საკავშირო ყრილობის შემდეგი ხანა პლენუმის მოწვევამდე, რემედას-ის ისტორიაში უნდა ჩაითვალოს, ხანად საკავშირო რესპუბლიკებში რემედას-ის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებისა და განსახიერებისა, რაც პლენუმმა კიდეც აღნიშნა. ყველგან, ცენტრში და ადგილობრივად არსებობენ რესპუბლიკანური, საოლქო, სამაზრო, სარაიონო და სათემო კომიტეტები. ორგანიზაციები გადასულია გეგმიან მუშაობაზე: გამომუშავებულია მეთოდები აღმზრდელობითი მუშაობის გასაღრმავებლად მათში და სხვ. ერთი სიტყვით საორგანიზაციო, სააგიტაციო, საპროპაგანდო, გამომცემლობის და სხვა დარგში დიდ მიღწევებს აქვს ადგილი.

მიუხედავათ ასეთი მიღწევებისა არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რომ გვეთქვა ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ.

ამას ხაზი გაუსვა პლენუმმაც.

ყველასათვის ცხადია ის, რომ რემედას-ის ორგანიზაციები იზრდებიან და ვითარდებიან მშრომელთა ინიციატივის სრული გაღვიძებით და განვითარებით. რემედას-ის ცეკას პლენუმის წევრებმაც ადგილებიდან დიდი ინიციატივა გამოიჩინეს და გამოამჟღავნეს წარსული მუშაობის დეფექტები, ამაშია დამსახურება ჩვენი აქტივისტების. ყველა აღნიშნულ ნაკლზე სათანადო ღონისძიებები გამოიმუშავა პლენუმმა, მაგრამ საინტერესოა მკითხველთათვის, თუ როგორი კონკრეტიული საკითხები იდგა გადასაწყვეტლად ამ სხდომაზე. საჭიროა მთავარ საკითხებს შევეხოთ, რაც უფრო აინტერესებს ჩვენს აქტივს.

დღის წესრიგის პირველ საკითხად იდგა: ა) უჯრედების მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ. პლენუმმა გამოარკვია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მან უჯრედი გამოაცხადა რემედას-ის ორგანიზაციების დასაყრდნობ ბაზად. გამომუშავდა ახალი გეზი უჯრედების მუშაობის გარშემო, უჯრედმა უნდა შეინარჩუნოს 100% უკვე მოზიდულ წევრებისა სრული ნებაყოფლობის პრინციპზე. ამ მიზნის მისაღწევად უჯრედები აწყებენ გაღრმავებულ აღმზრდელობითი მუშაობას წევრთა ხელ-ახალ აღრიცხვას და-სხვ.

1. **მეტი ყურადღება ძირითად უჯრედებს**

2. **აღმზრდელობითი მუშაობა**. აქ პლენუმს არ წამოუყენებია ახალი ლოზუნგები, მან დააყენა კითხვა თუ როგორ უნდა იქნას გატარებული ყრილობის დადგენილებები: არა მარტო რაოდენობას, არამედ თვისებას მეტი ყურადღებაო. ამ დებულების განსახორციელებლად პლენუმი მიუთითებს თავის რეზოლიუციაში ახალ კონკრეტიულ ფორმებზე წარსულ მუშაობის გამოცდილებების გამოყენებით, რის საშუალებით უნდა ჩაუნერგოთ რემედას-ის რიგებში მოზიდულ წევრებს კლასიური შეგნება და ამით გავაძლიეროთ მათი აქტივობა.

3. **მუშაობა სოფლად.** მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა ამ მიმართულებით აწარმოეს უკვე საკმაო მუშაობა (მაგალითად რუსეთში ვიატკამ, სარატოვმა, და სხვ. საქართველოში სიღნაღის მაზრა, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი და სხვ.) გამოცდილება დიდი გვაქვს, მაგრამ წინსვლას ვერ ვამჩნევთ. რემედას-ის საქართველოს ორგანიზაციების რიგებში გლეხების მონაწილეობა 27%-ით გამოიხატება, იმ დროს, როცა მუშა-მოსამსახურეები—73%-ით. ცხადია აქ საჭიროა დიდი სიფრთხილე, ცოდნა და შესწავლა მათი მდგომარეობის. რომ მოვნახოთ გზები ამ მიმართულებით რემედას-ის განვითარებისათვის სოფლად პლენუმმაც ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ სოფლად დღემდე ჩვენი მუშაობა მოისუსტებს და დაადგინა იქნას ყოველგვარი ზომები მიღებული სოფლად მუშაობის გასაღრმავებლად და გამოსაცოცხლებლად. ამას ჩვენ შევსძლებთ

სოფლის კულტურული ძალების დახმარებით უნდა გამოვიყენოთ: მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები და სხვ.

4. **პოლიტ-ემიგრანტები, დევნილი ამხანაგები თავშესაფარს პოულობენ საბჭოთა კავშირში.** პლენუმმა მიიღო დადგენილება დიდი ყურადღება მიაქციონ ამ ამხანაგებს, ისინი უნდა უზრუნველვყოთ, არა მარტო მატერიალურად, არამედ საბჭოთა რესპუბლიკებში ყოფნის დროს მათ საშუალება უნდა მივცეთ შეისწავლონ ოქტომბრის დიდი რევოლიუციის გამოცდილებები, აგრეთვე ისინი გამოყენებულ უნდა იქნან რემედას-ის ყოველ-დღიურ მუშაობაშიაც.

5. **ფინანსიური მდგომარეობა.** ეს საქმე ცოტათი მოიკოჭლებს საერთოდ. პლენუმმაც აღნიშნა ამ ბოლო დროს შემოსავლის შემცირება, ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად მიღებული იქნა დადგენილება: „სერიოზული ყურადღება იქნეს მიქცეული დავალიანებების ლიკვიდაციას თავის დროზე ადგილობრივად დაგროვილ თანხების გადმოგზავნას. გაძლიერებულ იქნას ფინკონტროლი და პრესაშიაც გამოქვეყნებული იქნეს მოქმედება იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც აჩერებენ რემედას ის უმაღლეს ორგანოსათვის გადასაგზავნ თანხას.

6. **გამომცემლობის საკითხი.** ამ საქმეს დიდი ყურადღება მიაქცია პლენუმმა—იმ მიზნით, რომ გამომცემლობა გადავიდეს სამნეო ანგარიშზე, აგრეთვე ლიტერატურის გავრცელება დაევალოს ქვემდებარე რემედას-ის ორგანოებს. დადგენილებაში აღნიშნულია გამოიცეს უფრო იაფი ფასიანი და პოპულიალური ლიტერატურა, რომელიც შესძლებს სამსახური გაუწიოს სოფლის ახალგაზრდობას, სკოლებს, სამკითხველებს, ქოხ სამკითხველოებს და სხვ. აუცილებელ საჭიროებათაა ცნობილი ეროვნულ უმცირესობისათვის ადგილობრივად იქნას გამოცემული პოპულიარული ლიტერატურა და სხვ.

7. **ადგილობრივი კომიტეტებთან კავშირის დაჭერა,** ანგარიშების წარმოდგენა სტატისტიკა, ინფორმაცია და სხვ.

ეს საკითხები თავის დროზე დაამუშავა უმაღლესმა და კერძოთ რემედას-ი საქ: ცეკამ თავის საოლქო და სამაზრო კომიტეტებისათვის. გადაგზავნილია მთელი რიგი ინსტრუქციებისა და ფორმებისა. მიუხედავათ ამისა საქმე ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ადგილებიდან გამოგზავნილ ციფრებს აკლია თანწყობა. რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რემედას-ის ორგანიზაციების მუშაობისათვის. ყველა ზემოხსენებულ საკითხებს პლენუმმა მიაქცია სათანადო ყურადღება და მიიღო დადგენილება წარსულ დეფექტების გამოსასწორებლად, თუმც ეს საკითხები ტეხნიკური ხასიათის საკითხებია, მაგრამ მაინც დიდათ საჭირონი არიან ჩვენი ორგანიზაციების აწინდელი განვითარებისათვის და ამას დიდი ყურადღებით უნდა მოექცენ აოგილობრივად მომუშავე ამხანაგები. ჩვენ აღვნიშნეთ პლენუმის მუშაობის მხოლოდ მთავარი მომენტები იმ პრაქტიკულ საკითხებზე, რომლების ცხოვრებაში გატარება აწევს რემედას-ის საქართ. ორგანიზაციებს მომავალში.

პ. ქუთათელაძე

რემედასი-ს მუშაობა სოფლად

რემედას-ის საქართველოს სამაზრო კონფერენციები თითქმის ყველა მაზრებში ჩატარდა.

სრულიად საქართველოს ყრილობის შემდეგ, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა სამაზრო კომიტეტებს მიეცათ საშუალება გამოლაპარაკებოდენ რემედას-ის ფართო მასების წარმომადგენლებს და მათთან ერთად ანგარიში გაეწიათ, როგორც წასულ ისე მომავალ მუშაობისათვის.

დღეს ჩვენს ხელშია ამ სამაზრო კონფერენციების ანგარიშები და მაშასადამე გვეძლევა შემთხეევა გაუკეთოთ ჯამი ყველა იმ ნაკლს თუ მიღწევებს, რომლებიც თან ახლავს დღეს რემედას-ის მუშაობას სოფლად. უპირველესად ყოვლისა მთავარი, რაც მოგვხდება თვალში ამ ანგარიშების კითხვის დროს; ეს არის რემედას-ის იდეის ღრმად შეჭრა ფართო მასსებში და მართლაც დღეს საქართველოში არ არის არც ერთი მაზრა დარჩენილი, სადაც რემედას-ის იდეა არ შეჭრილიყო და არ ჩამოეყალიბებინა თავისი ორგანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რემედას-ი სულ რაღაც სამი წელიწადია რაც არსებობს მან მაინც შეძლო გამჰდარიყო მასსიურ ორგანიზაციათ, რომელიც დღეს თავის რიგებში თავისუფლად ითვლის 90 ათას წევრს მუშებისას და გლეხებისას.

რით აიხსნება რემედას-ის იდეის ასე ფართოდ შეჭრა მშრომელთა მასსებში? უპირველეს ყოვლისა ამის ახსნა უნდა მოვნახოთ ჩვენ იმ საერთო ენტუზიაზმში და აღფოთოვანებაში, რომელიც თან ახლდა რემედას-ის დაარსებას საქართველოში პირველ ხანებში. მაშინ რემედას-ის საქმის მოგვარება მთავარ ამოცანად ქონდა დასახული საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მისი საუკეთესო ძალებიც არ ზოგავდენ არავითარ ძალ-ღონეს რემედას-ის რაც შეიძლება ფართოდ შესაჭრელად მშრომელთა მასსებში.

ცნობილი ინდოელი ნაციონალისტ ვანდის საგზიტაციო მოგზაურობა ინდოეთში.
განდი მადრასსეში.

ამ მიზანს რემედას-მა საქართველოში თითქმის დაარსების თანავე მიაღწია.

შემდეგში კი რემედას-ის საქართველოს ცეკას პლენუმის დადგენილების მიხედვით (მაისის 1925 წ.) მთავარი ყურადღება მიექცა არა წევრთა ზრდას არამედ რემედას ის წევრთა ღირსების გაუმჯობესებას სოფლად ამ მიზნით კი შემოღებული იქნა, არა მასსიური, არამედ ინდივიდუალური და ნებაყოფლობითი წევრობა, რამაც როგორც ვსთქვით, თავის მხრივ გამოიწვია რემედას-ის წევრთა საერთო რიცხვის ზრდის შეჩერება სოფლად. მაშასადამე, როგორც აქედან ვხედავთ რემედას-ის მუშაობის მთავარი გეზი უნდა მიმართულიყო იქეთ, რომ გაეუმჯობესებინა რემედას-ი ღირსებით.

მაგრამ შესძლო ჩვენმა ორგანიზაციებმა სოფლად ამ ამოცანის შესრულება? ჩვენ ვიტყვით რომ ზოგიერთ მაზრებმა შესძლო, ზოგიერთ მაზრებში კი „ურემი" ისევ ერთ ადგილას სდგას.

ეს კი აიხსნება იმით, რომ ზოგიერთ მაზრებში ჩვენს პარტ—ამხანაგებს თავის საქმეთ გაუხდიათ რემედას-ის მუშაობა და ეხმარებიან მას ყოველ მხრივ, აი ასეთ მაზრებში რემედას-ის მუშაობამ ღირსების გაუმჯობესების დარგში, მართლაც მიაღწია ერთგვარ შედეგს.

ხოლო იმ მაზრებში კი, სადაც ჩვენი პასუხის მგებელი ამხანაგები არა თუ ეხმარებიან არამედ ერთგვარ ცივადაც კი უცქერიან რემედას-ს, რაც ყოვლად მიუღებელია, რემედას-ის მუშაობა მეტად მოიკოჭლებს. ასე, მაგალითად, ავიღოთ სიღნაღის და გორის მაზრები.

სიღნაღის მაზრა სადაც რემედას-ის მუშაობას პირდაპირ ხელმძღვანელობს თვით კომ-პარტიის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, ამ მხრივ მუშაობას მეტად დიდი ნაყოფი აქვს გამოღებული. ასე მაგალითად მთელი მაზრა სავსეა რემედას-ის თემკომების და უჯრედებით, რომელთა მუშაობის რევიზია—დათვალიერება ყოველთვის ხდება რემედას-ის სამაზრო კომიტეტის მიერ.

ასეთი სურათია თითქმის ქუთაისის მაზრაშიც სადაც რემედას-ის მუშაობას პარტ-ამხანაგების მხრივ სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული, მაგრამ სულ სხვა სურათია გორის მაზრაში.

იქ მიუხედავათ იმისა რომ წევრთა რიცხვი მეტად დიდია (7000 მეტი) ძირითად უჯრედების მუშაობა მაინც ვერ არის კარგად დაყენებული რის მიზეზითაც ისინი მეტად მოისუსტებენ. ეს კი აიხსნება იმ ჩვენი ამხანაგების ერთგვარ უყურადღებო-

ბით რემედას-ისადმი რომლებიც მუშაობენ ამ მაზრაში. ამ ნაირად როგორც ვხედავთ იმ მაზრებში სადაც ჩვენი ?/მგებელი ამხანაგები აქცევენ ყურადღებას რემედეს-ს, იქ მუშაობა გაჩაღებულია და მთავარ ამოცანას, რემედას-ის ღირსების გაუმჯობესებას — შეძლების და გვარად აღწევენ? შემდეგში ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ გარემოებას უფრო მეტი ყურადღებით მოეპყრობიან ჩვენი ამხანაგები და შეეცდებიან ყველა ის ნაკლი, რომელიც თან ახლავს დღეს რემედას-ის მუშაობას სოფლად, გამოასწორებენ.

ქ მ ა რ ი

ც ო ლ ი

1923 წ. თავს დაესხენ იაპონიის მეფეს. თავდამსხმელი კორეიელი თავისი ცოლით

დღემდის ციხეში ზის და მოელის სასამართლოს განაჩენს.

ვ. წულეისკირი.

გეგმიანი მუშაობისათვის

დღემდის ჩვენს სინამოვილეში რემედას-ის ორგანიზაციების მუშაობას გეგმიან მუშაობის ხასიათი არ ქონდა.

ცხადია, რომ ამას თავისი გასამართლებელი მიზეზებიც ქონდა.

ერთია და ჯერ კიდევ ჩვენი ნორჩი ორგანიზაციები არ იყვნენ საორგანიზაციო პერიოდს დაშორებული. ამიტომაც ლაპარაკი იმაზე, თუ რატომ არ იყო დღემდის რემედას-ის ორგანიზაციები საბიუჯეტო დისციპლინას დაქვემდებარებული, არც კი შეიძლებოდა.

მაგრამ ორგანიზაციულად დამწიფებისა, თავისებური გამოცდილების მიღებისა და ერთნაირი ტრადიციის შექმნის შემდეგ ასეთი საკითხი უკვე დროულად უნდა ჩაითვალოს. საკავშირო ცეკამ ამ მხრივ უკვე გადადგა სათანადო პრაკტიკული ნაბიჯი. დღეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მაშტაბით უკვე სწარმოებს ამ მხრივ შესაფერი მუშაობა. რემედას-ის საქ. ცენტრალურ კომიტეტმა, მიმდინარე წლის სამოქმედო მანძილისათვის, უკვე შეადგინა თავისი მუშაობის გეგმა და იგი წარუდგინა დასამტკიცებლად საკავშირო ცეკას. მაგრამ თვით სამაზრო და საოლქო ორგანიზაციებსაც მმართებთ ამ მხრივ თავიანთი ნაკლის შევსება და აკი საქ. რემედას ის ცენ. კომ. დაგზავნა თავიანთ შემავლ ორგანიზაციებში ცირკულიარული მოწერილობა, სადაც მათ მიუთითებს და დაგეგმილი მუშაობაზე გადასავლისათვის, ხარჯ აღრიცხვის შესადგენად, რომელიც უნდა გადმოეგზავნოს დასამტკიცებლად რემედას-ის საქ. ცეკას.

საჭიროა ამ საკითხს დიდი ყურადღებით მოეპყრან ადგილოარივი ორგანიზაციები და წარსული მუშაობის გადახედვით შეადგინონ გეგმა მომავალ მუშაობისა. საჭიროა, რაც შეიძლება, საქმიანი გეგმის ჩატარება რომ მუშაობა მთელ მანძილზე მაქსიმალურად იქნას შესრულებული. ადგილებს სათანადო ხელმძღვანელობა ამ საკითხს გარშემო, შეუძლია გაუწიონ, იმ აქტიურ ამხანაგებმა, რომელთაც სათანადო გამოცდილება და უნარი აქვთ. ასეთები ყოველ სამაზრო და საოლქო კომიტეტებთან უსათუოდ მოიპოვებიან.

ამის შემდეხ, სარევიზიო კომისიებს და თვით დაინტერესებულ ორგანიზაციის წევრებსაც შეძლება მიეცემათ, თვალყური ადევნონ რემედას-ის საშუალებათა მოზოგვითი დახარჯავს, რაც ზოგიერთ შემოხვევაში, ააცილებს უნაყვფო, ზედმეტ ხარჯებს, რასაც დღევანდელ პირობებში დიდი მნიშვნელობა ექქნება ჩვენი წარმატებითი მუშაობისათვის.

რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ მეტად საჭირო და დროულ საკითხს.

პეტრე სამსონიძე

კაპიტალის ტყვეებს

მე ასე მინდა მოგმართოთ თქვენ დღეს,
თქვენ, ჩემო ძმებო და მეგობრებო!
დე, ისე მტკიცედ ებრძოდეთ თქვენს მტრებს,
რომ გამარჯვებას კვლავ შეეგებოთ...
აღივსეთ სული ხორგით და ბორგით,
გააუხეშეთ ხმა და დროება...
გახსოვთ? ბრძოლებში, როცა დარბოდით
გშვენოდათ ქუჩის გაპოეტება...
თქვენს სიმახვილეს ეკიდა დალმა
„კეთილშობილთა“ მედიდურობა...
მთვარე გაფითრდა, მთვარე ჩამოხმა
მთვარე სტიროდა უდღეურობას...
და ქალაქების ხმები და თქეში,
ღრენა, ხრიგინი და აღშფოთება,
აკივლებული დღეთა თარეში,
ბრძოლის წყურვილის აღფრთოვანება:
თქვენ, ჩვენო ძმებო, გეკიდათ მხრებზე
და ქარს ქარულად აქარავნებდით...
თან მოგონებებს—წელ-გატეხილებს
ქუჩის ხმაურში რევდით და რევდით.

— - —

დღეს: მთვარე იცინის ცივად,
დღეს გველი წივის ციკი...
საპყრობილე და ციხე,
თქვენ ისევ ძმებო, გიხმობს...
შავი ჯალათი, ფიქრი...
შავი ჯალათი—ღამე...
ზიხართ კედლების შიგნით...
ჩუ, ვიღაც კარებს აღებს...
შემოდის ვიღაც შავი,
გაყავს ერთი და ორი...
გარე კი, მესაფლავე
მიწას თხრის, როგორც ღორი...
შემოდის ვიღაც შავი
და ყვირის: ჩქარა, ჩქარა
მოყევით ის ამბავი
გეყოთ ამდენი ჩქმალა
და, როზგი, ცეცხლის შანთი,
ისევ მოქმედობს, ისევ...
სად არის სამართალი?!
ამბობთ და გული გიკვნესთ...

— - —

მაგრამ, ისევ აღინთება განთიადი...
დაიმსხვრევა საპყრობილე შავ-წყვდიადი...
გმირებო, გარედ ცეცხლი გუგუნებს...
ისევ ქუხს და რეკს ჩვენი საუკუნე...
ისევ ენთება ბრძოლის გენია
და გამარჯვებაც ბოლოს თქვენია...
თქვენ, ჩემო ძმებო და მეგობრებო,
დე, აღტაცებას კვლავ შეეგებოთ.

შალვა ჯანგერიძე

სისხლის რგოლებით

წინეთ... (რეჟიმი იყო დაუსაბამო)
ბურჟუაზიამ, როგორც ობობამ,
მანჭანის მკერდზე გააბა ქსელი.
დაეტყო შრომას მეტი ობლობა
და არსად იყო მშრომელთა მხსნელი,
და ძველ ქვეყანას წამების გარდა
ფიქრიც არ ჰქონდა ტანჯულ მუშებზე;
დაეშვა შურის-ძიების ფარდა—
იქ ხუნდებს ფენდენ ცხოვრების გზებზე...
და ბრძოლის ველზე ჩხაოდა ყვავი.
იყო ტირილი, კვნესა, წამება.—
ოხ, რამდენ მუშას წააძვრეს თავი.
და ტანჯვის ცრემლის გახდა ნამებათ...
ასეთ მონობის საშიშროება

მეტის შიშისგან ვერავის ეთქვა,
აღელდა მასა და ცეცხლს მოება—
დაიწყო ბრძოლა, სისხლმა იფეთქა...
ეხლა?.... (როცა მუშებმა ასწიეს დროშა)
ტყვიების წვიმამ ქვეყანა ძველი
ელვიან დღეში გადაიარა...
დადგა სისხლის ტბა-კორიანტელი,
ცეცხლმა ამოსწვა ძველი იარა.
დაინგრა ციხე და ბორკილები,—
დამბლათ დაეცა ჯალათი მთვრალი.
მთვარეს ჩამოსწყდა ტანჯვის ღილები,
და ღამეს შერჩა ვით შავი ხელი...
ჩვენმა ბრძოლებმა ასე იციან.
მაინც მისი ქნა მხნე ისტორიამ.
და გაიმარჯვა რევოლიუციამ,
დღეს მუშა, გლეხი, ქალი—სწორია.
შავი დღეები, რაც წინეთ ვნახეთ
გადავივიწყეთ ამდენ ზეიმით,
ვერვინ დაგვიგებს აწ ტანჯვის მახეს.
ჩვენ წითელ დროშით მივიწევთ ზევით;
და ბორკილები?...
(ჩვენში დაიმსხვრა სხვაგან-კი არის).

ცეცხლმა გაალხო ტანჯვის ბორკილი,
ტანჯვის ხუნდები შემოგვეცალა.
„ჯერ მწარე ვჭამეთ და მერმე ტკბილი“
მშრომელის ტანჯვა მთლათ შეიცვალა.
ეს მხოლოთ ჩვენში, სხვა ქვეყანაში
ამხანაგებო, სიმწუხარეა.
იქ ჯერ ღამეა და ბნელ ხანაში
ბატონობის ქვეშ ბევრი მხარეა.
ოჰ, ბორკილები მუშის ფეხებში,—
სავსეა ციხე სისხლით გავსილი
ტანჯვა და ოხვრა მუშა-გლეხებში—
მწუხარეთ მოთქვამს დედა და შვილი.
იქ, ბორკილები ბორკავს სიმართლეს.
ბევრი ტუსაღი ციხეში კვდება,
და ლიპიანი იქ ბანკირები
მშრომელის სისხლით ტკბება და თვრება...
მაგრამ... (ევროპა ნეტავ რას ფიქრობს?)
შრომის იმედი არ გარიყულა,
ჩამოკრავს ზარი მხნე განთიადის,
დაამსხვრევს ჯაჭვებს ზარბაზნის ლულა
და გაიმარჯვებს შრომა დიადი...

სეზმან ერთაწმინდელი

დამასკელი მოცეკვავე ქალი

I.

— ო, ზულეიკა, ჩემო იმედო...

მოსთქვამდა მამა, მოხუცი ომარი, თავის საყვარელ ქალზე, რომელიც აღარ დაბრუნებულა სახლში, რა დილას გავიდა...

მისი მშობლიური გული არ ისვენებდა, მან ბევრი ეძება, იკითხა, მაგრამ ვერაფერი გაიგო მის შესახებ...

თავის ძველ, დანგრეულ ქოხში იჯდა ომარი, ორი ობოლი ცრემლი გადმოჰკიდებოდა თვალის ქუთუთოებზე და ჩიბუხს აბოლებდა სიმწარით...

ის გრძნობდა სრულ მარტოობას, ობლობას...

— რად გავუშვი მარტო, რად?!

ჰნანობდა ის, რადგანაც დღეს, ზულეიკას თხოვნით, პირველად წავიდა ის მარტო, ისე კი ერთად დადიოდენ მუდამ, ომარი მღეროდა, ქალი კი ცეკვავდა: ასე იღებდენ ფულს, ასე სცხოვრობდენ...

ოთახში აღარ ისმოდა ზულეიკას სიცოცხლით აღსავსე კისკისი, ის აღარ ეხვევოდა მამას, ცელქი ხტუნვით, თითქოს ყველაფერი სტიროდა უმისოდ; აჰა, კედლებიც კი დაღვრემილან, აგერ ბუხარიც გულჩათხრობილა...

ომარის თვალები ზულეიკას საწოლს მიაშტერდა, სახე აეწვა სიმწარით, გული ამოუჯდა, რომ იქ აღარ სჩანდა იმისი ერთად ერთი იმედი და სიყვარული; მას გაახსენდა ის დრო, როდესაც კიდევ პატარა ჰყავდა; რა ცოლი, საყვარელი ნერა მის მშობიარობას გადაჰყვა, სხვა აღარავან შეირთო, თითონ აღზარდა ბავში, დის დახმარებით; მაშინ ვაჟი ხომ უკვე მოზრდილი ჰყავდა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად ჩამოაღრჩეს დამპყრობელებმა, ის ხომ კარგი და განთქმული მექარავნე იყო, რომელიც ვინ იცის სად არ ეზიდებოდა ხოლმე საქონელს...

ის ხომ იმისთვის ჩამოაღრჩეს, რომ ვერ გაუძლო თავისი სამშობლოს მონობაში ყოფნას, შევიდა შეთქმულ, თავდადებულ მამულიშვილთა საიდუმლო კავშირში, რომელთაც სურდათ თავისუფლების მოპოვება, რომელნიც ეხლაც აწარმოებდენ გადამწყვეტ დარტყმას...

— ჩემო ოსმან, ჩემო სიამაყევ!

მოსწყდა ომარის გაცრეცილ ტუჩებს, რა თვალწინ წარმოუდგა ის წუთი, როდესაც მისი შვილი ნახა დამასკის შუა ქუჩაზე თოკზე ჩამოკონწიალებული ფრანგი ჯარისკაცის მოკვლისათვის, როდესაც თურმე ის ერთ დრუზ ქალს ძალად გაუპატიურებას უპირებდა, და ამ დროს კი საიდგანლაც თავზე წაადგა ოსმანი, უმწეო ქალის შველად მოხმობის ვედრებამ ყურში დასწივლა, და თითონაც არ ახსოვდა ვით იძრო ხანჯალი, და...

ომარი მთელს ქვეყანაზე ყველაზე უბედურად სთვლიდა თავს, მაგრამ ზულეიკათი იმშვიდებდა გულს, მთელ მშობლიურ სიყვარულს მაზე იბერტყდა, იმას შეჰხაროდა სიბერის ჟამს, მის ბედნიერებას ნატრობდა, მარა...

II.

ღამეა...

სამხრეთის თბილი შემოდგომაა, ისეთი, როგორიც ხშირია დამასკში.

თითქმის ნახევრად გაუდაბნოებულ მხარეში ოაზისივით გადაჭიმულა კოხტა ქალაქი, თავისი მუდამ ამწვანებული ბაღებით.

ნახევარ მთვარით ანამგლული ცა, ვარსკვლავ აჭედილ კამარად გადმოჰფარვია დაცემულ მიდამოს...

მდინარე ნელი დუდუნით მოედინება, და გულში იხუტებს დრუზ ვაჟკაცების დედათა ცრემლებს, რომლებსაც ისინი აღვრიან თავის ქვეყნის თავისუფლების სამსხვერპლოზე შეწირულ შვილებს...

იმათი სისხლი ეხლაც წითელ ხოლებად ეკლაკნება აღქაფებულ ტალღების მარმაშა ზვირთებს...

ვინ იცის რამდენი დაეცა წმიდა ბრძოლაში!..

აჰა, საპატიმროები სავსეა თავდადებულ ახალგაზრდებით...

ისინი ელიან დახმარებას...

ქალაქ გარედ, შორი უდაბნოებით ისმის თითქოს რაღაც ყრუ გუგუნი, მრისხანე მუქარა აჯანყებულთა, რომელნიც თავგამოდებით მიაქანებენ თავიანთ არაბულ ცხენებს; ისინი ხან სად ეცემიან ფრანგების რაზმებს, და ხან სად...

მათი დარტყმა დაუზოგავია, მათს მზით დამწვარ სახეს მოაქვს შურისძიება...

ანცი სიო სისინებს საამოდ, აშარიშურებს ფოთლებს და მინდვრით მოაქვს ყვავილთა სურნელოვნება...

ბაღებით იჭიდება ხეზე მთვლებ ბულბულთა ალმტაცი გალობა და აბრუებს სმენას ნეტარი სალბუნით...

ქალაქს მრისხანედ გადმოსცქერს ციხე სიმაგრე, პირდაღებულ ზარბაზნებით, სადაც სდგას ფრანგების გარნიზონი...

მხარზე თოფ-გადებული გუშაგი ნელა მიდიმოდის ბანზე და სათვალთვალო კოშკიდან გადაჰყურებს ძილში მყოფ დამასკს, რომლის ქუჩებზეც დადიან აღრენილი პატრულები...

ქალაქი საალყო წესებზეა...

გუშაგი იღიმება, რა თვალი მოჰკრა ცეცხლის სვეტებს, ქალაქის ერთ-ერთ განაპირა უბანში, რომელსაც ამ დილას ანგრევდენ ეს ქვემეხები, რომელნიც თავხედი მზერით შიშის ზარს სცემენ უბჩებს, მაგრამ შეუჩერებელია დრუზების შემოტევა, რომელნიც თავიანთ დედაქალაქის აღებას ლამობენ...

— ჰმ!.. ჩვენ გვიბედავენ წინააღმდეგობას?!

უკვირს მას...

თოფი ჩამოიღო, ცალი ფეხი სათოფურზე შესდგა, რა გაახსენდა ნაპოლეონის პოზა, როს იგი დაპყრობილ ქვეყნებს გადასცქეროდა ხოლმე ამაყი გამოხედვით, და მისებრ გადაიჭვარედინა ხელები გულზე...

III.

ციხის უფროსის ოთახში ზეიმია, ქეიფი, სმა...

გალეშილი ოფიცრები ერთმანეთს ეცილებიან მოცეკვავე ქალის ეშხში, თავს აწონებენ, მაგრამ ციხის კომენდანტი მასპინძელი იყო, მას ვერ უბედავდენ ამ ქალში მეტოქეობას...

იგი დილას შეიპყრეს, როდესაც ქალაქიდან გაპარვით გასვლას ჭლამობდა, რაც აკრძალული იყო დამპყრობელ ხელისუფლების მიერ...

ის დაამწყვდიეს, მისი გამოტეხვა ყოველმხრივ სცადეს, მაგრამ უშედეგო იყო მუქარა.

— ჰა, როგორ იყო, რომ, როცა დაგატყვევეს შენ წინააღმდეგობის გაწევა დააპირე და, რაღაც ქაღალდის დაღეჭვა, გადაყლაპვა მოასწარი?!

დაცინვით მიუახლოვდა ახალგაზრდა ლეიტენანტი ქალს, ნიკაპი აუწია მაღლა და, თვალებში მიაშტერდა ვნებიანად, მაგრამ ქალმა ხელი ჰკრა, თავი გაინთავისუფლა, გვერდზე მიიხედა...

— ჯალათო!

მოსწყდა მის ტუჩებს.

— რაო?! ხმის ამოღებასაც ბედავ სამხრეთის ვარსკვლავო?!

კვლავ დასცინა ლეიტენანტმა, მაგრამ ქალი ხმას არ იღებდა, თავი ძირს დაეხარა, მისი ლერწამივით აქნეული ტანი ცახცახებდა სიბრაზით, მხრებზე გადაგდებულ ჭრელ ქალაღაიას ბოლოებს ხელში ჭმუჭნიდა...

— დაანებე თავი, ემილ, დაეხსენ!..

უთხრა მაიორმა ლეიტენანტს, ღიმილით, და ღვინით აჭარხლებულ სახეზე გრძელი ულვაშები გადაიგრიხა, პირუტყვულ გრძნობით.

— მაგას მე ვაჩვენებ, ამალამ...

ჩაილაპარაკა მანვე, და თვალები აუბრწყინდა, წინასწარ, გამარჯვების მოლოდინში...

— მერე და როგორ დაიგრიხება ბატონო მაიორო, მაგ ლონიერ მკლავებში?!

უფრო საამებლად უთხრა სერჟანტმა, რომელმაც ბრეტონული სასმელები შემოიტანა...

— ყოჩაღ, ჩემო ჟოზეფ, ყოჩაღ!

შეაქო კომენდატმა, და თვალი ჩაუკრა, ჭიქა მიაწოდა...

ოთახში ნოყიერ საჭმელების სუნი იდგა, მაგარ სასმელების ოხშივარით გაისმოდა ხრინწიანი სიმღვრა...

— არა, ჩვენ, განათლებულ ფრანგებს ცივილიზაცია შემოგვაქვს ამ ველურებში, ბარბაროსებ-

ში და ესენი კი ჰბედავენ მახვილი აღმართონ ჩვენს წინააღმდეგ?! ჰმ... უმადურნი! სისხლში ჩავაღრჩობთ ყველას!..

ტრაბახობდა კომენდანტი.

— ხვალ დილით, რომ მიგაყენებენ კედელზე და დაგიცხრილავენ ტყვიებით ამ ლამაზ მკერდს, მაშინ რაღას იტყვი?.. ა?

არ ეშვებოდა ლეიტენანტი და ხან ღვინის ჭიქაქს მიუტანდა პირთან, ხან ხორცის ნაჭერს, აჯავრებდა, აღიზიანებდა, არ აძლევდა...

ქალი თუმცა მშიერი იყო, უნდოდა ჭამა, მაგრამ დიდის ტანჯვით იტანდა შიმშილს, ტყვეობას, ტანჯვას; მას ეზიზღებოდა ყველაფერი, რაც კი ამათ ხელიდან გამოვიდოდა, და შიმშილით სიკვდილს ირჩევდა ამათ საჭმლის მიღებას.

— დავხვრეტავთ თუ ჩამოვაღრჩობთ ბატონო დიუვალ?

შეეკითხა იგივე ლეიტენანტი კომენდანტს, ტყვე ქალის გასაგონად, დაცინვით.

— ვნახოთ. თუ შეთქმულებს გასცემს შეიძლება ვაპატიოთ და, თუ არა, მაშინ კი...

მიუგო კომენდანტმა და გადახედა ქალს.

ქალი ღელავდა; იგი იდგა კუთხეში, კედელზე აყუდებით; წინ გამოზნექილი მკერდი, ორი აკოკრებული ბორცვით, გამალებით ადი-ჩადიოდა; დაგლეჯილ ტანსაცმელს ხელით ისწორებდა, რომ დაეფარა ტიტველი სხეული; იდგა ფეხშიშველი, რკინისფერ კანჭებით, მკლავებში მოუჩანდა ლურჯი ძარღვების დაჭიმვა; ჯეირანივით აღერილი ყელი ავარაყებდა სპილოს ძვლის მძივებით; ძვლისავე დიდი, მრგვალი საყურეები მოსჩანდენ შავი კუნაპეტივით მხრებზე დაყრილ თმის კულულებში; შავგვრემანი სახე, ავარდებულ ტუჩებით; მაყვლის თვალებიდან ცეცხლოვანი გამოხედვა ურჩად; ლამაზი იერი; ველური მოვარდნა...

ბევრი ახალგაზრდა დრუზი აუმღერებია მას თავისი მშვენიერებით, მაგრამ გული კი მხოლოდ ერთს მიაკუთვნა, ეს იყო...

IV.

ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრზე დაეცათ ბანაკი აჯანყებულებს...

თეთრი კარვები ღილებივით აბმოდენ ლეგაქვიშიან მიდამოებს...

— ეტყობა რაიმე ხიფათი თუ შეხვდა გამოგზავნილს, თორემ სადაა აქამდის გამოგზავნილი კაცი?

შეშფოთებული ეკითხებოდა წინამძღოლი, თავის აღმზრდელ მოხუც აზიზს, რომელიც ყალიონს სწევდა, მუთაქაზე წამოწოლილი; ის მრჩევლად ჰყავდა თან მეთაურს, რომელიც ეხლა მოუსვენრად მიმოდიოდა კარვის წინ...

— აგერ უკვე საღამოა, და ჯერ მაინც არსად სჩანს.

განაგრძობდა ის...

ქალაქიდან, მიუხედავად ფრანგების ყოველ-მხრივ ფხიზელ ზომების მიღებისა, შეთქმულთაგან ყოველ დღე იღებდენ ცნობას, და დღეს კი...

აჯანყებულნი იარაღს ლესავდენ...

ცხენები მოუსვენრად სცემდენ ძირს ტოტებს...

— ვინ იკისრებს თქვენში ქალაქში შესვლას და ამბავის შეტყობას?

შეეკითხა წინამძღოლი შეკრებილ მებრძოლებს.

დავალება ძნელი შესასრულებელი იყო, სიჩუმე ჩამოვარდა..

— ვის უფრო უყვარს, თქვენში, დამასკის თავისუფლება?

განიმეორა კვლავ მეთაურმა.

რამდენიმე მებრძოლმა ასწია ხელი, მაგრამ სწრაფად წინ წამოდგა ჯიბრაილი.

— მზად ვარ დავეცო მტლად, ჩემს ქვეყანას!

უთხრა მან აღმოსავლურ სალამის მიცემით.

— აბა, იარე! ალლახი იყოს შენი შემწე!..

უთხრა მას წინამძღოლმა და ხელი გაუშვირა დამასკისკენ.

მოხუცმა აზიზამ დაარიგა მხედარი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ის.

და, რამოდენიმე წუთში თვალს მიეფარა მისი მალი ცხენი.

მიდის ჯიბრაილი და მაზე უმალ მიჰქრიან მისი ფიქრები...

ის წმიდა მოვალეობის შესრულებასთან ერთად გაიგებს ამბავს თავის გულის ტოლისას, ნახავს მას, რომელიც აჰა, თითქმის მესამე თვეა ალარ უხილავს, გადაეხვევა, ჩაეკონება...

(გაგრძელება იქნება).

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში

ანრი ბარბიუსი

რა ვნახეთ რუმინეთში?[1])

ჩვენ რუმინეთიდან საფრანგეთში დავბრუნდით სტამბოლში გამოვლით და ეხლა შეუდექით წესრიგში მოყვანას ყველა იმ დადგენილებებისა და ცნობებისა, რომელთა შეკრება შევძელით ჩვენ ბუხარესტში [1]) და კიშინიოვში [2]), ამ მუშაობის დასრულების შემდეგ. მე და ჩემი თანამგზავრები გამოვაქვეყნებთ უფრო დაწვრილებითი ანგარიშს ჩვენი მოგზაურებისას რუმინეთში.

ჯერჯერობით კი ვკმაყოფილდები ამ პატარა წერილით.

მთელ იმ ხნის განმავლობაში, რომელიც ჩვენ დავყავით რუმინეთში, ადგილობრივი პრესა ჩვენ გვაქცევდა რაღაც განსაკუთრებულ ყურადღებას.

ადგილობრივ გაზეთებში თითქმის ყოველ დღე იბეჭდებოდა ჩვენს შესახებ გრძელ-გრძელი წერილები, ფელეტონები, ინტერვიუები, ფოტოგრაფიული სურათები და კარიკატურები.

განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევდენ მე. მე ჯერ კიდევ არ მინახავს ამდენი და ასე სხვა და სხვანაირი კარიკატურები ჩემი პირადობის შესახებ.

მაგრამ აქვე უნდა ვსთქვათ, რომ რუმინეთის პროლეტარიატისა და გონებით მომუშავეთა საუკეთესო ნაწილის მხრივ ჩვენ ვხვდებოდით მეტად გულწრფელ და მეგობრულ მიღებას. ოფიციალურ წრეებში ჩვენ კი გვღებულობდენ მეტათ ცივად თუმცა საკმაო პატივისცემით.

მეორე დღეს ჩვენი ჩასვლისას ჩვენ მიგვიღო გარეშე საქმეთა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა.

ჩვენ აშკარად და პირდაპირ მოუყევით მინისტრებს იმ მეტად მძიმე და ღრმა შთაბეჭდილებებზე, რომლებიც მოახდინა ყველა ქვეყნის საზოგადოებრივ აზრზე სხვა და სხვა სისხლიანმა ამბებმა რუმინეთში, კერძოთ კი თათარ-ბურანელ გლეხთა აჯანყების სასტიკად ჩაქრობამ და გასამართლებამ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბ. ტაბარესკუმ თავის გასამართლებლათ წაიბურტყულა რაღაც მოსკოვისა და ბოლშევიკების შესახებ, რომლებიც მისი აზრით თითქოს არიან მიზეზი რევოლიუციონურ მოძრაობისა რუმინეთში.

საპყრობილე სადაც პროცესი მიდიოდა და სადაც ჩვენ გავემგზავრეთ იმყოფება ქალაქის განაპირას. ის წარმოადგენს უზარმაზარ, გულ-ჩათხრობილ ნაცრისფერ, საშუალო საუკუნეთა კოშკს, რომელიც მრისხანედ წარმომდგარა პატარა გორაკზე.

თვითონ პროცესი მიდიოდა საპყრობილეს ეზოში. ჩვენ დავესწარით საქმეების გარჩევას, მოუსმინეთ სხვადასხვა ვექილებს და სასამართლოს თავმჯდომარეს პოლკოვნიკ მაქსიმს, რომელიც ყოველთვის ცდილობდა თავის არა შესაფერ შენიშვნებით შეემცირებია შთაბეჭდილებები დამცველებისა, ან და მთლად დაებნია ბრალდებულები.

სხდომის შეწყვეტის შემდეგ თავმჯდომარე მომიბრუნდა მე და მითხრა.

— აი შეხედეთ იმ იარაღს ეს ჩამოვართვით ჩვენ აჯანყებულებს და არ არის არავითარი ეჭვი მასში, რომ ის გამოგზავნილია საბჭოთა რუსეთიდან. დანამდვილებით კი ეს იყო ძველი ბერდანკები და ანადირო თოფები. აიყოფნიდა მპოლოდ ის ცელები და ნაჯახები, რომლებითაც აჯანყებულები დაეჭიენ მოძალადეებს და მძარცველებს, რომლებიც იყვნენ შეიარაღებულნი ტყვიის-მფქვეველებით და ჯავშნოსნებით.

სასამართლომ ჩვენზე დასტოვა მეტად მძიმე შთაბეჭდილება, ყველაფრიდან გაშოსჭვივოდა წინდაწინვე შემუშავებული გეგმა და თვით სასამართლო წააგავდა იმ განზრახ შეთხუპნულ კომედიას, რომლის ყურება ეგრე აუტანელია მაყურებლისთვის.

ჩვენ ვსთხოვეთ: გაეცნოთ ჩვენთვის ყველა დოკუმენტები და მოწმეთა ჩვენებანი. განსაკუთრებით ჩვენ გვაინტერესებდა ის დოკუმენტები, რომლების ძალითაც თითქოს მტკიცდებოდა კავშირი თათარბუნარის გლეხებისა საბჭოთა კავშირთან. ჩვენ ამის ასრულება დიდი სიამოვნებით დაგვპირდენ, მაგრამ როცა ხელმეორედ განუმეორეთ კიდევ ეს ჩვენი თხოვნა მათ კვლავ განიმეორეს: რასაკვირველია გაჩვენებთ, პირველ შესაძლებელ შემთხვევისთანავე გაჩვენებთ. მაგრამ ვაი, ასეთი „შესაძლებელ შემთხვევას“ არ აღმოჩნდა და ის დოკუმენტებიც, რომლების შესახებ ეგრე გაყვიროდნენ ყველა ტი-

---

[1]) ეს წერილი ეკუთვნის საფრანგეთის გამოჩენილ კომუნისტ მწერალს ანრი ბარბიუს, რომელმაც სხვა დელეგატებთან ერთად ამ სამი ოთხი თვის წინად იმოგზავრა რუმინეთში იქ მძინვარე თეთრი ტეროორის გასაცნობლად.

[2]) ბუხარესტი სატახტო ქალაქია რუმინეთში.

[3]) კიშინიოვი მთავარი ქალაქია ბესარაბიაში.

აქციონური გაზეთები. ჩვენ ვერ ვნახეთ, რატომ?— გკითხავთ თქვენ...

— იმიტომ, რომ ისინი არ არსებობენ სრულიად, ან და თუ არიან, ყალბია, რომელთა ჩვენება ჩვენთვის ვერ გაბედა სასამართლომ.

ბ. ტაბერსკიმ ჩვენთან საუბრის დროს სთქვა: რომ ყველა ის ხმები იმ საშინელ რეჟიმის შესახებ, რომელიც მეფობს რუმინეთის ციხეებში, არის თავხედად მოჭორილი რუსეთისა და სხვა საზღვარ გარეთელ კომუნისტების მიერო.

მოვისმინეთ რა ეს მოხსენება, მე ვკითხე:

— შეგვიძლია თუ არა ჩვენ ვინახულოთ ეს საპყრობილეები, რომ შემდეგ ევროპის პრესაში გამოვაქვეყნოთ სიმართლე იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოყოფებიან პოლიტ-ტუსაღები?!

— რასაკვირველია შეიძლება—გვიპასუხა ბ. ტაბერსკიმ, მაგრამ, როცა ჩვენ მართლა მოვითხოვეთ საპყრობილეების დათვალიერება, მათ თუმცა პატიოსნად მაგრამ გადაჭრით განგვიცხადეს:

— ეს შეიძლება, ხოლო ეხლა არა. თქვენ დაათვალიერებთ საპყრობილეებს პირველ შემთხვევისთანავეო.

აქედან ყველაფერი ნათელია.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი საქციელი იყო მეტად თავდაჭერილი და ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს ისეთი, რომელიც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა მთავრობას, ჩვენს წინააღმდეგ ერთ მშვენიერ დღეს ისეთი აღშფოთება მოაწყვეს, რომ თითქოს ჩვენ ვიყავით მოსული იმისათვის, რომ დაგვემხო არსებული წესწყობილება. ჩემი თხოვნა: გაეცნოთ დელეგაციისათვის ის დოკუმენტები, რომლების შესახებაც ამდენს ლაპარაკობდენ და წერდნენ, ან და კიდევ იმ თხოვნაზე ეჩვენებიათ ჩვენთვის: საპყრობილეები, რომლებშიაც მინისტრის სიტყვით, საუცხოვო წესრიგი და მშვიდობიანობაა, პრესის მიერ იქნა გამოყენებული როგორც: რუმინეთის შინაურ საქმეებში მწერალ ანრი ბარბიუსის ჩარევა.

მაგრამ მიუხედავათ ამ სასტიკი თეთრი ტერორისა მუშათა ფართო მასსები მაინც დიდად აღშფოთებული იყვნენ მთავრობის მხრივ ასეთი მოპყრობით ჩვენს მიმართ და თავის პატივისცემა ჩვენდამი გამოხატეს იმით, რომ მოაწყვეს სტიქიური მასსიური დემონსტრაცია მთავრობის წინააღმდეგ და ჩაუარეს იმ სახლს, სადაც ჩვენ ვიყავით გაჩერებული.

დემონსტრაციის დროს ისმოდა ხმები:

გაუმარჯოს ანრი ბარბიუსს...

ამის საპასუხოთ, რამოდენიმე დღის შემდეგ პოლიციამ მოაწყო თავისი დემონსტრაცია, რის დროსაც ფაშისტები და ხულიგნები ხმა მაღლა ისროდნენ ჩვენს მიმართ გინებას და წყევლა კრულვას.

ამით ხელისუფლებამ, რომელმაც ჩვენს სახლს თითქოს მიუჩინა „მცველები„ გაგვაგებინა ჩვენ:

— თქვენ, საყვარელო სტუმრებო, დროა უკვე აიბარგოთ აქედანაო.

ვ. ფ—ვი.

„თავისუფლეგის“ ქვეყანაში

კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ახასიათებს „ყველაზე უფრო დემოკრიტიულ ქვეყანას მსოფლიოში“,—ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატებს.

ჯერ კიდევ 1920 წ. თებერვალში, მუშათა დაცვის ლიგის ხაზინადარი **ანიტა უიტინი** დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, ინდუსტრიალურ მუშების სინდიკატების წევრობისათვის მას მიესაჯა სასამართლოს დადგენილებით 14 წ. ციხე.

ამხ. უიტინი არ დაემოოჩილა თავის ბედს და აღძრა საჩივარი კასაციაში.

მთელი ხუთი წლის განმავლობაშო მისი საქმე გადადიოდა სასამართლოს ერთიდან მეორე უწყებაში, სანამ განაჩენი არ დაამტკიცა უმაღლესმა სასამართლომ.

ამ საქმემ გამოიწვია დიდი მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება. ბევრი ბურჟუაზიული გაზეთები გულისწყრომით აღნიშნავდენ ამ პროცესს, ასე, მაგ., ნიუ იორკის გაზეთი „უორლდ“ სწერს: „უნდა ითქვას, რომ ჩვენი თავისუფლება დაცემამდეა მისული, თუ კი მსგავს რამეებს კიდევ ექნება გასავალი შეერთებულ შტატებში“-ო.

მაგრამ სხვა დანარჩენი რეაქციონური გაზეთები კალიფორნიისა, ხოტბა-შესხმით იხსენიებენ კალიფორნიის კანონიერების ასეთ „ნაყოფიერებას“.

— „დე, კალიფორნიის გაზეთმა სინდიკალიზმზე, — სწერს გაზეთ „რედჟისტერ“, განაგრძოს თავისი მეტად ნაყოფიერი საქმე. ეს მეტად კარგი კანონია. რომელიც უსათუოდ უნდა ქონდეს სხვა დანარჩენ შტატებსაც.

ჩვენ გვჯერა, რომ ანიტა უტინი დაჯდება 14 წ. განმავლობაში. საინტერესოა თვალყური დავიჭიროთ, ამ არამზადებაზე, რომლებიც ლამობენ ჩვენი ხელისუფლების ჩამოგდებას, ისინი მიმართვენ საზოგადოებრივ აზრს და შემდეგ შეწყნარებას თხოულობენ იმ სასამართლოებიდან, რომლებსაც ისინი დასკინოდენ„.

გაზეთი ცილისწამებით სავსეა, ანიტა უტინმა უარი განაცხადა პატიება—შეწყნარებაზე. მან განაცხადა: „მე არ შემიძლია ვითხოვო პატიება, რადგანაც მე არ ჩამიდენია არავითარი დანაშაული“-ო. გაზეთ „უორლდ“-ში მოთვსებულ წერილში ამბ. უტკინი სწერს, სასამართლოს დროს არ ყოფილა ცდა იმისა, რომ დაემტკიცებიათ, თითქოს მე ხალხს მოუწოებდი აჯანყებისაკენ...

ამერიკის კლასიურ სახამართლოს აღარ სჭირდება არავითარი საბუთები იმისათვის, რომ ვინმე მუშათა ორგანიზაციის წევრი ჩასვას ციხეში.

კალიფორნის შტატის გუბერნატორს სხვადასხვა პირებისაგან აუარებელი თხოვნები მოსდის სადაც ისინი ითხოვენ ამბ. უტინის საქმის შემსუბუქებას. ბოლო ხანებში დაარსდა სოციალური კომიტეტი, რომელსაც მიზნად აქვს ამბ. უტინის განთავისუფლების საქმის მოგვარება.

ამ კომიტეტის მიერ გუბერნატორთან შეტანილ პეტიციაში ნათქვამია შემდეგი.

„ხუთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ რაც ამბ. უტინის პროცესი დასრულდა, რაც ვიცით ჯერ არასოდეს დამტკიცებული არ ყოფილა, რომ ამბ. ჩაიდინა, რაიმე დანაშაული არსებული ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, გარდა იმისა რომ ის ეკუთვნის ნებადაურთველ ორგანიზაციას, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს. სინდიკალიზმზე კანონი მიღებული ქონდა კალიფორნიის შტატს ომის განწყობილების გავლენით, რომელიც უკვე გამქრალია“.

ჩვენ ვშიშობთ, რომ გულქვა გუბერნატორმა ორგანიზაციის მიერ წამოყენებული საბუთები მხედველობაში მიღოს. სინდიკალიზმის კანონების ძალით ამერიკის ციხეებში დღესაც აუარებელი მუშები სხედან.

ასეთია მდგომარეობა „თავისუფლების“ ქვეყანაში, რომელსაც ქება-დიდებას უმღერის ამერიკის შრომის ფედერაცია.

რასტასკუ

კიშინიოვის პროცესის შემდეგ

(წერილი პრაგიდან)

ასე, მრავალი წლები კატორღისა, აუტანელი ტანჯვა ცოლებისა, დედებისა და ბავშებისა და მონებისა, რომელმაც ხმა აღიმაღლეს „ლოლიკის“ წინამღდეგ, ჩაყრილია რუმინეთის ციხეების ნესტიან და ბნელ დილეგებში.

ჩვენ უფლება გვაქვს სრული სიმტკიცით განვაცხადოთ, რომ მეფის სისხლიანი ხელისუფლება უკმაყოფილოა პროცესის შედეგით. არა, ამას არ მოელოდა ხელისუფლება! გლეხთა უკმაყოფილო დღეებში, ეკონომიური კრიზისის პირობებში, შეუწყვეტელი და შეუჩერებელი ოპოზიციონური და რევოლიუციონური განწყობილობის ზრდის დროს—მას სჭირდება სიკვდილით დასჯა. ისინი ემზადებოდენ, ეს წამებანი სისრულეში იქნებოდენ მოყვანილნი, რომ წინ სასტიკი პროტესტების ტალღები არ შეტაკებოდენ: ისინი თავიანთ ველურ განზრახვებს სისრულეში მოიყვანდენ, რომ პროლეტარულ მასსების მღელვარებას არ შეეჩერებინა, რომელიც გადადიოდა ევროპის ერთი კუთხიდან მეორეში. ამას ისინი პირნათლად ასრულებდენ, რომ მისთვის ფარდა არ აეხადა და მზის სინათლეზე არ გამოეტანა ანრი ბარბიუსს კოსტა ფორდუს, მორენასს, რომ არ ყოფილიყო ეს წყეული რემოდას-ი რომელსაც ბურჟუაზიის „გმირული მოღვაწეობა“ ზზის სინათლეზე გამოაქვს.

სისხლიანი მეფის ხელისუფლება გახელებულია, არა მარტო თავიისი განაჩენებით, არამედ იმ სამარცხვინო სკანდალებითაც, რომელიც გრძელდებოდა კიშინიოვის ცნობილი პროცესის დროს და რომლის შედეგები უკვე იცის მთელმა მსოფლიომ.

სამი თვის პროცესის შემდეგ. თათარბუნარელთა გლეხების დამცველმა პარასკევესკუმ საბუთებით დაუმტკიცა სასამართლოს, რომ აჯანყებამდე ორი თვის წინ თათარ-ბენარში გაგზავნილი იყო პროვოკატორი ნენინ. დამცველმა პარასკევესკუმ პროცესის დროს წარმოადგინა საბუთები, რომლის მიხედვით პროვოკატორზე გაცემულია საჩუქარი 17.000 ლეი, აჯანყების ორგანიზაცის მოსაწყობად.

ეს არ არის უკანასკნელი მთავრობის სისხლიან მოხელეები მოქმედებაში. კიშინიოვის პროცესს, ხელისუფლებამ თან მიაყოლა ლეიტენანტ მორარესკუს გასამართლება, რომელმაც მრავალ ათეული ქალები, ბავშვები და ქალიშვილები ამოჟლეტა. დამნაშავეთა სკამზე იჯდა 21 ჯარისკაცი.

ერთ-ერთი ბრალდებული ჯარისკაცი ცრემლით და კანკალით ყვებოდა თუ როგორ დახვრიტა მან ოთხი უკანასკნელი ქალიშვილი მარარესკუს შიშით. მოწმე რაცაველი ამბობს, რომ მის წინ მოკლეს 3 წლის ბავში. ღამით დახოცეს მისი მშობლები და ნათესავები, ბავში კი ჯარისკაცს შეებრალა და სა. გუშაგოზე მოიყვანა.

— რას მოათრევდი აქეთ?—მრისხანებით შეუტია მორარესკუმ. ჯარის კაცს უნდოდა პასუხი გაეცა და დაემტკიცებია ჯალათ მორარესკუსათვის, რომ

ბავში დამნაშავე არ აყო... მაგრამ მან სიტყვა გააწყვეტინა ჯარისკაცს...

— გააგზავნე დედასთან, ის უკვე დიდი ხანია დნეპრში სცურავს,—ბრძანა გულქვა ლეიტენანტმა.

ჯარისკაცებმა მოკლეს ბავში.

მორარესკუ ბოიარების სასამართლოს მიერ განთავისუფლებელია.

ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება რუმინეთის ხელისუფლებას სამართლიანობა ეს მოვლენა კიშინიოვის პროცესთან ერთად ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ამტკიცებს რუმინეთის ჯალათების საშინელ მოღვაწეობას.

ბ. ს—ვი.

საფრანგეთის სატრაპეგის ულლის ქვეშ

(წერილი დამასკიდან)

დრუზების აჯანყებამ ხამში, ხამსეში, ალაპუტისა და ალეპკოს ოლქებში, დრუზების მიერ დამასკ—ბეირულის გზის დაკავებამ, სამხრეთ ლივანიკენ წაწევამ, ვადი-აზმაში, ვადი-კირპში, საზღვარი დაუდვეს ფრანგების „ბრწყინვალე გამარჯვებებს" დჟაბელ-დრუზში. საფრანგეთის ჯარების მდგომარეობა გახდა მეტად კრიტიკული.

ფრანგებისათვის მთავარ საფრთხის ოლქს წარმოადგენდა დამასკი. აქ თავმოყრილი იყო ყველაზე უფრო საგრძნობი ნაწილი პარტიზანული რაზმებისა, რომლებიც მოხერხებულად იმალებოდენ ტყეებში და ბაღებში. ეს რაზმელები დიდ დახმარებას იღებდენ ადგილობრივად, რევოლიუციონურად განწყობილ მოსახლეობისაგან.

იმ მიზნით, რომ ეს საფრთხე თავიდან მოეშორებინა, საფრანგეთის ჯარების შტაბმა განიზრახა პროვოკაციის მოწყობა, რომ შემდეგ ორგანიზაციულად შესდგომოდა მათ ამოჟლეტის საქმეს. ფრანგებმა დაიწყეს მცხოვრებთა დახვრეტა-წამება, ჰაერპლანებიდან ბომბების ჩამოყრა, მახლობლად მდებარე სოფლებში, ბაღებში და ტყეებში, ჩამოხჩობა სრულიად უდანაშაულო ხალხისა და ბოლოს დამასკის მოსახლეობის ერთი ჯგუფის მეორეზე გადამტერება. სამწუხაროდ ფრანგებისა, აღგილობრივი მოსახლეობა იმდენად მაგარი აღმოჩნდა, რომ ის ვერ წამოეგო ამ მოლალატურ ანკესზე, რის შემდეგ ფრანგების ჯარების გენერალმა სარაილმა გააძლიერა ტეროორი. ის ტყვეებს აიძულებდა მთელი ქალაქი შემოეტარებინათ თავიანთი მოკლული ამხანაგების ნეშტი. დამსჯელ ექსპედიციის ჯარის კაცებს სრული უფლება მიანიჭეს მოსახლეობის ცარცვა-გლეჯისა და მათი თავიანთ სურვილისამებრ ამოჟლეტისა.

მახლობელ სოფელში ასეული ქალები გააუპატიურეს და შემდეგ აწამეს. სოფლები—მალაშაი, რაბული, დჟერმანი ამოჟლეტილია და გაძარცული. ამ საშინელი სიმხეცით გამწარებული მოსახლეობა ამხედრდა და ერთ მშვენიერ ღამეს ამოჟლიტა 150 ფრანგი ჯარისკაცი. მეორე დილით აჯანყების ტალღები გაშორდა დამასკის საზღვრებს. ფრანგებმა ზარბაზნები დაუშინეს ქალაქს. ქალაქზე დაფრინავდა ჰაეროპლანების მთელი ესკადრილია, შემდგარი 50 ჰაეროპ., რომელიც სეტყვასავით აყრიდა ქალაქს ბომბებს. ქალაქის განაპირა უბნებში ამუშავდნენ ტანკები, მიუხედავად ჯოჯოხეთური პირობებისა, რომელსაც ქმნიდა სისხლს მოწყურებული მტერი, ქალაქი მაინც მხნედ იდგა და გმირულად იცავდენ მას ერთგული და თვისუფლებისათვის მებრძოლი დამასკელები. ქუჩები ბარიკადებით იყო დახაზული. როდესაც დამასკელები დარწმუნდენ, რომ ფრანგები მზად იყვნენ მთელი დამასკა მიწასთან გასწორებინათ რევოლიუციონურმა რაზმელებმა დასტოვეს ქალაქი.

დამასკა დაუთმეს ჯალათებს, დახოცილთა რიცხვი 8 ათასამდე აღწევდა. დახოცილთა გვამები უმოწყალოდ და უპატრონო ეყარა ქუჩებში, მტვერში და სიბინძურეში.

იმ ტელეგრამებში, რომლებიც გადაიგზავნა დედამიწის ყოველ კუთხეში ფრანგების ჯალათები ავრცელებდენ მომხდარ ამბების შესახებ შექმნილ ზღაპარს, სომხებსა და ქრისტიანების რბევას, რომელიც არაბებმა მოახდინეს.

ცხადია, რომ აქ იოტისოდენა სიმართლეს ადგილი არა აქვს.

გრძელდება ტეროორი, ამასთან ერთად სირიის აჯანყება ჯერ კიდევ არ არის ჩამქრალი.

მთელს არაბეთის აღმოსავლეთში დღითი დღე გროვდება რევოლიუციონური ძალები. ისინი თავს იყრიან. ირაზმებიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის, რომელსაც უნდა მოყვეს თავისუფლება დამსკის დამონავებელ ხალხისა, რომლის სისხლს სწოვს ევროპის გამხეცებული ბურჟუაზია.

დამსკა იბრძვის, რათა თავი გაინთავისუფლოს საფრანგეთის ჯალათებისაგან: შორს არ არის ის დრო, როცა ეს მოთმინება დაკარგული ხალხი კიდევ ერთხელ შეუტევს თავის მტერს განახლებულ რევოლიუციონურის სიმტკიცით, რომელსაც უკვე ვერ შეაჩერებს ბურჟუაზიის მიერ ჰაეროპლანებიდან ჩამოყრილი ყუმბარები და ჯოჯოხეთური ბანქანა—ტანკა.

ფ. 3 – 30

მუშათა მოძრაობის გამოცოცხლება

ამ უკანასკნელ ხანებში რევოლიუციონურ მოძრაობათა გამწვავებასთან ერთად აღმოსავლეთში თვალსაჩინოდ გაიზარდა მუშათა მოძრაობა ევროპაში და აგრეთვე ამერიკაშიაც.

ამავე რესპუბლიკის მთავარ ქალაქში მუშათა მოძრაობამ მიიღო წმიდა რევოლიუციონური გამოხატულება, რომელსაც აუღია გეზი საბჭოთა კავშირისკენ, ეს მუშათა მოძრაობა მიდის ლენინიზმის

დემონსტრაცია მონტევიდეოში, რომელიც მოწყობილი იყო ურაგვაის კომუნისტურ პარტიის მიერ საბჭოთა რუსეთთან სოლიდარულ კავშირის აღსანიშნავად. აქვე არიან მეზღვაურები, რომლებიც გადმოვიდენ რეიდზე მდგომი საბჭოთა გემიდან.

ის პრინციპიალური უთანხმოებანი, რომლებიც ეხებოდენ ტაკტიკას კაპიტალიზმთან ბრძოლისას ამერიკაში და რომელიც გაგრძელდა ბევრად დიდი ხანს დღეს შეიძლება ჩაითვალოს ამოწურულად. როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ამერიკაში მუშათა მოძრაობა მიემართება, ერთ და იმავე გარეთ ლეგარულ, ისე არა ლეგარულ გზებით. მართალია ამის დაკავშირებით კლასთა შორის ბრძოლამ მიიღო მეტად მწვავე ხასიათი, ასე მაგ. გახშირდა კომუნისტების დატუსაღებანი უფრო სასტიკი და მწვავე გახდა დევნა მუშათა ორგანიზაციების და სხვა, მაგრამ ყველა ეს მაინც ვერ ახშობს კომუნისტურ პარტიის მისწრაფებებს და მისი გავლენაც თანდათანობით იზრდება მშრომელ მასსებში.

ლეგალურ მუშაობის დროს პარლამენტების კომუნისტურ ფრაქციებს აქვს საშუალება დაიჭირონ მუდმივი მჭიდრო კავშირი ფართო მასსებთან, როგორც მუშებთან, ისე გლეხებთან, რაც აძლევს პარტიას საშუალებას გახდეს მასსიურ პარტიად. ამის დასამტკიცებლად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ის მაგალითი, რომ რესპუბლიკა ურაგვაიში (სამხრეთ ამერიკა) ამერიკისათვის ჯერ კიდევ უნახავი დემონსტრაცია.

ლოზუნგების ქვეშ. მონტევიდოში უკანასკნელ დემონსტრაციის დროს პლაკატებზე შემდეგი წარწერები იყო: გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირს." პლაკატებზე იყო აგრეთვე დახატული **ამხ. ლენინის** სურათი, რაც ყველაზე **უფრო** ახასიათებს მუშათა დღევანდელ მოძრაობას ამერიკაში.

ბერლინის მეტად პოპულიარული ჟურნალი „მხატვრული მუშა" ამტკიცებს იმას, რომ არას დროს ჯერ კიდევ **მონტევიდეოში** დემონსტრაციას რომელიც მიმდინარეობდა ლენინიზმის დროშის ქვეშ, არ ჩაუთრევია ისეთი ფართო რიცხვი მუშებისა, როგორც ამ დემონსტრაციამ, რაც აშკარა გამომხატველია საბჭოთა კავშირთან ეროგვარ სოლიდარობისა, ქუჩებში გამოვიდენ ათი ათასი მუშები მათში ერია ქალები და ბავშებიც.

დემონსტრაციის კოლონიები მივიდენ ნავთსადგურამდის და საბჭოთა კავშირის გემის წინაშე შეასრულეს „ინტერნაციონალი". დამოუკიდებლობის მოედანზე შესდგა მიტინგი, რომელიც მიძღვნილი იყო საბჭოთა კავშირისადმი.

დ. ე—ვი

რა ხდება ინდოეთში?

უკანასკნელ ხანებში რევოლიუციონური მოძრაობა აღმოსავლეთში მეტად გაძლიერდა და გაღრმავდა, ჩინეთის, მაროკოს, ეგიპტეს, ინდოეთის და სხვათა ამბები გაემართენ უფრო მეტი სიჩქარით ვიდრე ამას ჩვენ ველოდით.

ამას წინად ინდოეთში შემდგარმა პროფ-კავშირების ყრილობამ დაგვანახა ჩვენ, რომ ეს მოძრაობანი მიემართებიან არა მარტო ნაციონალ-გამანთავისუფლებელ, არამედ მუშათა საშინელ ჩაგვრა მონობისაგან გამანთავისუფლებელ გეზითაც, რომლის მიზანი და დანიშნულებაა გაანთავისუფლოს პროლეტარიეტი როგორც უცხო, ისე, შინაური კაპიტალის კლანჭებისაგან, ყრილობამ გამოიტანა მთელი რიგი პასუხ-საგებ პოლიტიკურ რეზოლიუციებისა, რომლებიც მოწმობენ მას, რომ ინდოეთის მუშათა კლასი იზრდება პოლიტიკურად.

გარდა ამისა ყრილობაზე გამოტანილ რეზოლიუციაში მოთხოვნილია თვითმართველობანი, საცა კიდევ მტკიცდება რომ ინდოეთის პროლეტარიატი სერიოზულად ჩაება იმპერიალისტთან ბრძოლის საქმეში.

პატიმარი

რაც არ იცის მსოფლიომ

(წერილი ჩილიდან)

მე დიდი ხანია განზრახვა მქონდა მომეწერა თქვენთვის ჩილში მომხდარი ამბების შესახებ წერილი, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ დღემდის არ მომეცა საამისო მოხერგებული შემთხვევა. ამას გწერთ ციხიდან.

უკვე სამი თვე გადის, რაც ჩვენ საშინელი თეთრი ტერორის აუტანელ პირობებში ვცხოვრობთ, ბურჟუაზია, რომელიც თავის პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლად ეყრდნობა სამხედრო ბანდებს. მთელი თავისი შურისძიებით და საშინელი მეთოდით დააწვა სელიტრიანის მინდვრებში მცხოვრებ მუშებს ტარაპაკეში და ანტოფაგასტეში.

მათ აქ აწარმოეს ჯერ ისტორიაში არ ნახული შურისძიებანი, რომლის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი იცის მსოფლიო მუშათა კლასმა. ზოგიერთი ჩვენი გაზეთები დახურულია, დანარჩენები კი მეტად სასტიკი ცენზორის ზედამხედველობის ქვეშ არიან მოქცეულნი. ის სავსებით სპობს ჩვენს პრესაში ყველაფერ იმას, რაც მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ჩვენს უკულმართ ცხოვრებისა და ბრძოლის დასახასიათებლად. უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში ტარაბაკეში და ანტოფაგატეში განადგურებულია ათასამდე მუშების სადგომები და დახვრეტილია ასობით მუშები და გლეხები. აპრილის პირველ დღეებში ტარაპაკაში დააპატიმრეს ათეული მუშები. ჯარისკაცები აპატიმრებდენ მათ, ღამღამობით ყრიდენ გემებში და მიყავდათ სამხრეთის მიმართულებით. რადგანაც მათზე არავითარი საბრალმდებლო საბუთები არ ქონდათ, სასამართლო იძულებული შეიქნა პროცესის დროს გაჭართლების განაჩენი გამოეტანა.

მათმა ასეთმა საქციელმა აკვიკვის მუშებში გამოიწვია პროტესტი, ერთ-ერთ ასეთ შემთხვევის დროს პოლიციის მოხელეებმა რევოლვერები დაუშინეს შეგროვილ მუშებს, ეს უკანასკნელნიც იძულებულნი გახდენ თავი დაეცვათ, ეს მიხდა აღტოსან-ახტოლოში. სროლის დროს მოკვდა რამოდენიმე მუშები და პოლიციელები, რომელიც გახდა უფრო დიდი სისხლიანი შეტაკების საბაბი. მუშები მახლობელ სახლებში მიიმალენ, ქალაქის კვარტალებში შემოიტანეს ზარბაზნები და ტყვიამფრქვეველები.

დაუშინეს ყუმბარები იმ სახლებს სადაც ეს მუშები იყვენ გადამალულნი. სახლების ნანგრევებს ქვეშ მოყვა აუარებელი მუშები. ამის შემდეგ დაიწყო მასიური დახვრეტები, იღუპებიან მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლნი. ბავშები, ქალები, მოხუცები, ერთი სიტყვით ყველა ვისაც კი ხელში ჩაიგდებს გაშმაგებული ოხრანკა და პოლიცია ჯარს არაფერი დაუკარგავს. ეს საუკეთესო საშვალებას წარმოადგენს იმისას, რომ ყოველგვარი ხმები „ბრძოლების" შესახებ იყო მოჭორილი და, რომ ტარაპაკას ქალაქებში სწარმოებდა ბურჟუაზიის ველური სიმხეცე პროლეტარიატის გასანადგურებლად.

აურაცხელი ქალები ჯარისკაცების მიერ გაუპატიურების შემდეგ ჭკუიდან შეიშალენ. ბავშები ათასობით ეყარენ ნანგრევებზე და დამწვარ სახლების ნაცარზე, რომლებიც განწირულნი იყვნენ სასიკვდილოდ.

ამხანაგებო, როდესაც თქვენ ამ ცნობებს მიაწვდით მსოფლიო პროლეტარიატს ერიდეთ არ დაასახელოთ თუ, რომელ წყაროდან გაიგეთ, ეს მიუხედავად საგრძნობი მსხვერპლის გაღებისა ჩვენ მაინც ძლიერად ვგრძნობთ თავს.

ჩვენ გვჯერა.. გვწამს, რომ სხვა ქვეყნის პროლეტარიატი გაგვიწევს ჩვენ უდიდეს დახმარებას ჩვენს უბედურებაში, ჩვენში სჩქეფს ძლიერი, შეურყეველი ნებისყოფა და რევოლიუციონური სული... მას ვერ ჩააქრობს ბურჟუაზიის სისასტიკე და ველურობა...

შკანასკნელი ცნობები

კომუნისტების ახალი დატუსაღებები იტალიაში

გაზეთ „სტამპას“ ცნობით (ანტი ფაშისტური ორგანოა) რომში მოხდა მთელი რიგი დატუსაღებისა კომუნისტების. დატუსაღებულთა შორის იმყოფება კომუნისტი **კავასანო,** რომელიც მუშაობდა იტალიის კომპარტიის კონგრესის მოსაწვევად. ტრიუმფალის ბინის ერთ-ერთ სარდაფში თითქოს აღმოჩენილ იქმნა ყუმბარები და სამი რევოლველი. ამის დაკავშირებით დაატუსაღეს მუშა **ბენანი**— ხელმძღვანელი კვარტალის კომუნისტურ ორგანიზაციის, რომელსაც აბრალებენ ყუმბარების დამზადებას.

მაკედონელ გლეხების გასამართლება.

ქ. სტუმიცის სასამართლომ მრავალი წლის ციხე მიუსაჯა 36-გლეხს, რომლებსაც თითქოს ბრალდებათ მაკედონელთა ორგანიზაციებთან კავშირის დაჭერა, პოლიციისთვის საჭირო ცნობები იქნა შეკრებილი დატუსაღებულთა დიდი ცემა-წამების შემდეგ, რაც დადასტურებულია ექიმთა ექსპერტების მიერ. თავისი იძულებითი ჩვენებანი ბრალდებულებმა სასამართლოს პროცესის დროს წაიღეს უკან.

რევოლიუციონერის დასჯა.

მაკედონელ რევოლიუციონერთა კომიტეტთან კავშირის დაჭერის გამო ქ. სკოპლში დასჯილ იქმნა მაკედონელი **კრიშტიჩი.**

საშინელი სია.

გამოუცხადა რა სასტიკი ომი ბულგარეთის მშრომელ ინტელიგენციას და ყველა კულტურულ ადამიანს, რომელსაც კი პროტესტი განუცხადებია მთავრობის პოლიტიკის წინააღვდეგ, ცანკოვმა მოასწრო კიდევ 30—გამოჩენილ ჟურნალისტისა და რედაქტორის დახოცვა.

ეს თითქოს ერთი შეხედვით არ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ აი სიაც:

1. **იოსებ გერბეტი**—მთავარი რედაქტორი ყოველდღიურ გაზეთებისა „ლუჩ“ და „ეკ“ და ყოველ-კვირეულისა „ვიკ“.

2. **ივანე გაიტშევი**—მთავარი რედაქტორი ყოველ-დღიურ გაზეთისა „ლუჩ“.

3. **წ. კომულევი** დელეგატი. მთავარი „რედაქტორი“ გაზ. „მიწათ-მომწყობის დროშა“.

4. **გრიგორი კუსმანოვი.** მთავარი რედაქტორი გაზ. „პობედას“.

5. ექ. **დიმიტრი გრანჩაროვი.** მთავარი რედაქტორი „ხალხის თავისუფლების“ და სხვა გლეხურ გაზეთების.

6. **დინკო დინკოვი.** მარქაფის კაპიტანი—რედაქტორი „ორანჟევოე ზნამია„.

7. **ხარლოპო სტოიანოვი**—დელეგატი, მთავარი რედაქტორი „ჩვენი დღეების“.

8. **არსენ იაშკოვი.** მთავარი რედაქტორი მაკედონელთა ნაციონალ-რევოლიუციონერთა გაზეთის „ილინდენი“.

9. ექ. **ალექსანდრე ათანასოვი.** მთავარი რედაქტორი პროვინციალურ გაზეთის ქ. რუსოში: „ჭეშმარიტება“.

10. **კირილე პავლოვი:** ყოფილი მინისტრი სერამბულინსკის მთავრობის მთავარი რედაქტორი „სახალხო სათათბიროს“.

11. **ტ. კოსოვსკი**—დელეგატი. მთავარი რედაქტორი—„სახალხო გამარჯვების“.

12. **დ. კოსტევი**—მთავ. რედაქტორი „სახალხო გამარჯვების“.

13. **გრიგორი შუმანოვი.** რამდენიმე საგლეხო გაზეთების რედაქტორი.

14. **ივ. ნედელკოვი.** რედაქტორი ყოველდღიურ გაზეთის „მუშათა ცნობის“.

15. **ფილიპე ხუდკოვი.** დელეგატი, რედაქტორი ემიგრაციის ყოველ-კვირეული ორგანო „განთავისუფლება“-სი.

16. **ლოგბი კანლევი** მასწავლებელი, რედაქტორი, მასწავლებელთა ორგანოებისა: „მასწავლებელთა ცნობის“.

17. **ანნა მაიმუნოვა** მასწავლებელი ქალი. რედაქტორი ქალთა გაზეთის **„თანასწორობა“** და **„მუშა-ქალი“.**

18. სოფიის ოლქის საგლეხო გაზეთის რედაქტორი „შოპსკა პრობუდა“. (საგლეხო არჩევნები).

19. ექ. **ივანე მარეევი.** ნაფიცი ვექილი, რედაქტორი საგლეხო ყოველ-კვირეულ ორგანოსი— „სოფლის აზრი“.

20. ექ. **სტ. აბრამოვი.** იურისტი, მთავარი რედაქტორი საგლეხო გაზეთის: „მიწის მუშათა ახალგაზდა დროშა“.

21. **ა. ნოტევი.** რედაქტორი „მიწის მუშათა ახალგაზდა დროშა“-ს.

22. **გეც მილევი.** პოეტი და მწერალი. რედაქტორი სალიტერატურო ყოველ-კვირეულ ორგანოს „პლომაკ“ (ალი).

23. **ხრისტ. იასენოვი.** სახალხო პოეტი და მწერალი, თანამშრომელი „პლომაკის“.

24. **კოსტა იანკოვი.** გენერალური შტაბის სათადარიგო მაიორი, რედაქტორი სამხედრო ყოველ-კვირეული ორგანოსი: „სახალხო არმია“.

25. **სტ. კირადჟიევი.** სათამბაქო ქარხნების მუშების ჟურნალის რედაქტორი.

26. **იეკო დიმიტრევი**—ბულგარეთის დამოუკიდებელ პროფ-კავშირთა კავშირის თავმჯდომარე, რედაქტორი „ბეტრიბო არტეირერა"-სი.

27. **ნიკო გრამოვსკი.** რედაქტორი ყოველ-კვირეულ გაზეთის, სავაჭრო წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა.

28. ექ. **ნ. ზარვულანოვი.** რედაქტორი ყოველ-კვირეულ გაზეთის: „ხმა სანიტარიისა".

29. ექ. **ვ. ივანოვი.** თანამშრომელი მრავალ სამედიცინო ჟურნალებისა.

30. **სერგო რუმიანცევი.** გლეხთა პოეტი და მწერალი. რედაქტორი გლეხთა ახალგაზდობის გაზეთის **„გლეხური ახალგაზდობა"**.

საფრანგეთის ინტელიგენციის მოწოდება.

ბალკანეთის სახელმწიფოებში თეთრი ტერორის მსხვერპლთა დამცველმა კომიტეტმა, რომელიც შედგება მოწინავე ინტელიგენტებისაგან და რომელსაც ხელმძღვანელობენ საფრანგეთის გამოჩენილი მწერლები ანრი ბარბიუსი და რომენ როლანი, ცანკოვის მთავრობის დაცემის გამო გამოუშვეს **მოწოდება**, რომელშიაც მოუწოდებენ საზოგადოებრივ აზრს: მოითხოვონ ნორმალური კანონმდებლობის და ფართო პოლიტიკურ ამნისტიის შემოღება ბულგარეთში.

ლატვია „ვეცდებით უფრო ღრმად დავამარცხოთ".

7 ნოემბერს ლატგალიის კომპარტიის მიერ ქალაქში იქნა გაკრული პროკლამაციები, ამის დაკავშირებით ქ. დვინსკში დატუსაღებულია მრავალი მუშები და ხელოსნები, რომლებსაც ეხლა ასახლებენ ლატვიიდან, როგორც კომუნისტებს. მეტი წილი დატუსაღებულებისა არიან ებრაელები.

სეიმის არჩევნების დროს კომუნისტთა სიის № 34. გავრცელების გამო მთელს ლატვიაში დაატუსაღეს 100-კაცი.

ყველა ეს ტყვეები დღეს თავ-მოყრილია რიგის ცენტრალურ სატუსაღოში.

ქ. დვინსკში ამავე საქმის დაკავშირებით დაატუსაღეს რკინის-გზათა სახელოსნოების მუშები ტიშები და რუსები, რომლებიც იქნენ არჩეულნი ხმოსნებათ ქალაქის თვითმართველობაში.

ყველა ესენი მიცემულნი არიან პასუხისგებაში და ბრალდებათ არსებულ მთავრობის დამხობა (სისხლის სამართ. მე 100—მუხლის ძალით).

დატუსაღებულთა ცოლებმა ქ. დვინსკში მიმართეს ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებს—წევრებს ლატგალიის სეიმისას, **რათა მათ ეზრუნათ** მათი ქმრების მწარე მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მაგრამ მათ უპასუხეს: „ჩვენ არა თუ დავეხმარებით ამ ბოლშევიკებს, პირიქით ვეცდებით კიდევ უფრო ღრმად დავამარცხოთ ისინიო".

(ეს სიტყვები ეკუთვნის სეიმის წევრს ბუმეისტერს, რომლითაც ის მიმართავდა მუშის ცოლს ნეველომსკაიას.).



რევოლუციური სპეკრიფველური

ზ. ბარამია.

სენაკის მაზრა

(მუშაობა რემედას ის ორგანიზაციაში)

ყველა ნებაყოფლობითი საზოგადოებათა შორის, რემედას-ის ორგანიზაცია ყველაზე უფრო პოპულიარულია სენაკის მაზრაში, იგი მუშაობს ჩვენს მაზრაში 1924 წლის მარტიდან.

პირველად შესდგა საინიციატივო ბიურო პარტკომის აგიტ-პროპის განყოფილებასთან, რომლის საშუალებით ჩამოყალიბებულ იქნა უჯრედები და არჩეული იქნა უჯრედების მდივნები.

ამ ჟამად ზემოალნიშნულ ბიუროს ნაცვლად არსებობს რემედას-ის სამაზრო კომიტეტი, რომელსაც ყავს ერთი ტეხნიკური მდივანი. მაზრის მასშტაბით ჩამოყალიბებული არის რემედას ის უჯრედები—მათ ყავთ ბიური და სარევიზიო კომისია, რომლებიც მუშაობენ პარტიის იდეურ ხელმძღვანელების ქვეშ. დღემდე თითეულ რაიონის უჯრედებს ხელმძღვანელობდა საქ. კომპარტიის სათანადო რაიკომის მდივნები, რომელთაც კავშირი ქონდა რემედას-ის სამაზრო განყოფილებასთან.

პარტიის ხაზით თემების სისტემის შემოღების შემდეგ, მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნა თემებში.

თემის რემედას-ის ბიუროები მუშაობენ ადგილობრივი თემკომების დახმარებით და საერთო ხელმძღვანელობით; მასთან თემის ბიუროებს უშუალო კავშირი აქვთ სამაზრო განყოფილებასთან.

დღიდან დაარსებისა 1925 წლის 1 აგვისტომდე შემუშავებულია სამაზრო განყოფილებაში საწევრო, ლიტერატურის და სხვ. სახით **2731 მან. და 59 კაპ. გადაგზავნილია რემედას-ის საქ. ცეკაში—1772 მან.** დახარჯულია სამზრო განყოფილების მდივნის ჯამაგირისა და საორგანიზაციო ხარჯებისათვის—502 მან. 42 კაპ. 1925 წლის 1 აგვისტოსათვის ,რჩება—სამაზრო განყოფილებას—457 მან. და 17 კაპ.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოთ 1925 წლის ნაფხულის პერიოდში რემედას-ის მუშაობა ცოტა არ იყოს, შენელდა სენაკის მაზრაში.

არ მოდიოდა უჯრედებიდან ცნობები, მათ მიერ ყურადღება არ ქონდა მიქცეული ძველი დაეალიანებების—ლიტერატურის ანგარიშების გასწორებას,—არ იწვეოდა რემედას-ის უჯრედის კრებები და სხვ.

მაგრამ გასული წლის 1 სექტემბრიდან ამას სათანადო ყურადღება მიექცა და დაგზავნილ იქნა სამაზრო განყოფილების მიერ ადგილებზე სათანადო ინსტრუქცია—ცირკულიარები და შეძლებისა და გვარად გაბმულ იქნა ცოცხალი კავშირი ადგილებთან.

ამის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს, როგორც მაზრის მასშტაბით—წევრთა რიცხვის ზრდა აგრეთვე უჯრედების გამოცოცხლებაც.

თუ პირველ აგვისტოსათვის რემედას-ის წევრთა რიცხვი უდრიდა 2892 წ. 1 დეკემბრისათვის ის აღწევს 3500-დე. ეს დიდი მიღწევაა ამ სამიოდე თვის განმავშობაში.

ამნაირად ორგანიზაციას უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლება ეტყობა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს რომ თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს. ჯერ კიდევ არ არის მაზრის მასშტაბით ის ნამდვილ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული. სუსტია პროფ. კავშირების და კომკავშირების მუშაობა ამ დარგში, სუსტია სააგიტ-საპროპ. მუშაობაც. რა არის საჭირო? ვინ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება?

პირველ ყოვლისა საჭირო არის ამ ორგანიზაციაში ჩაბმულ მიქნეს ყველა კულტურული ძალები. მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, მასთან პატიოსანი აქტიური გლეხები და გლეხი ქალები, რომელთაც აქტიური მუშაობით შეიძლება ფართე მასისთვის ახსნა-განმარტების მიცემა რემედას-ის მნიშვნელობაზე და სხვ. როგორც საუბრების—აგრეთვე ადგილობრივი კედლის გაზეთებში (ცენტრალურშიაც) მონაწილეობის მიღებით, რემედას-ის ამოცანების გაშუქებით.

ყოველივე ამ საქმის მოწესრიგება და მოშაობის თავის დონეზე დაყენება სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ: პარტიის, კომკავშირის, პროფკავშირის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა ადგილობრივად. რემედას-ი პოლიტიკური სკოლაა, რომელიც ამჭირდოებს მშრომელთა მასის რიგებს, შეაქვს მათში რევოლიუციონური შეგნება, რაც მთავარი პირობაა მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებისა.

სანიძე

რემედას-ის მუშაობა გორის მაზრაში

გორის მაზრაში რემედასი დაარსდა 1924 წ. ნოემბერში. პირველ-ხანებში მას ყავდა 1200 წევრი. არსებობდა სულ 3 უჯრედი.

გორის სამაზრო კომიტეტის დაარსებისთანავე მუშაობამ უფრო ნორმალური სახე მიიღო და ცალკე იქნა გამოყოფილი ხაშურის და ბორჯომის რაიონები, რაც მიზანშეწონილი იყო.

სამაზრო კომიტეტი, შეუდგა რა მუშაობას უმთავრესი ყურადღება მიაქცია გლეხურ და მუშურ უჯრედების ჩამოყალიბებას.

ამ მუშაობის წყალობით მან შეძლო უკვე დღემდის რემედას-ის რიგებში ჩაეთრია 7070 წევრი. მუშა 873, გლეხი 3740, მოსამსახურეები—928, სამხედრო პირები 300 და მოწაფე პიონერები—1260 წევრი. მამაკაცები არიან—5894 და ქალი 1116.

ხშირად უჯრედების კრებებზე იკითხებოდა მოხსენება საერთაშორისო მომენტზე და რემედას-ის ამოცანებზე.

გლეხობა მეტად თბილად ეპყრობა რემედას ის მუშაობას, ხშირი იყო შემთხვევა როცა გლეხს საწევრო გადასახადის გარდა შემოქონდა შემოწირულებებიც.

1925 წ. იანვარში ჩატარებულ იქმნა კვირეული, რომლის ძალითაც რემედას-ის წევრთა რიცხვი უფრო გაიზარდა.

დღემდის გორის მაზრაში სულ შემოსულა 2,50ა მ. ამ ფულიდან რემედას-ის ცენტრს გაეგზავნა 1350 მან. სხვა დაიხარჯა ადგილობრივად.

დღესდღეობით დარჩა სალაროში 544 მან. 9 კ. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ გორის მაზრაში რემედას-ი ვერ მუშაობდა სათანადოთ, მაგრამ ამას მაინც ვამბობ, რომ ადგილობრივ ჩვენს პასუხის მგებელ ამხანაგებს უფრო მეტი ყურადღება მიექცია რემედასისთვის გორის მაზრაში, მაშინ ის უფრო მეტს შესძლებდა, როგორც უჯრედების ღირსების დარგში ისე რემედას-ის მატერიალურად გასაძლიერებლადაც.

ყოველ-შემთხვევაში დიდი მადლობის ღირსია გორის სამაზრო კომიტეტის თავჯდომარე ამხ. **გრ. ზაქარიანცი** (უპარტიო) რომელიც მიუხედავად ათასნაირ დაბრკოლებებისა მუშაობს ენერგიულათ და ცდილობს გორის მაზრა ამ შემთხვევაში არ ჩამოარჩინოს სხვა მაზრებს.

გ. ზახარიანცი (უპარტიო).

რემედას-ის გორის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე.

რემედას-ის უჯრედების მუშაობა ს. ნიკორწმინდაში

ჩვენს თემში იყო რემედას-ის ერთი უჯრედი, რომელშიაც ირიცხებოდა 58 წევრი; 13 მუშა-მოსამსახურე, 7 გლეხი ქალები და დანარჩენი კი, მიწის მუშა გლეხები. წევრები ყველა აქტივისტები იყვნენ. ამ ბოლო დროს მოაკლდა ცოტა წევრები ამ უჯრედს, მაგრამ რემედას-ს არ მოჰკლებია რადგან ~~ზოგიერთები~~ გადავიდენ სხვა უჯრედებში. დღეს ჩვენს უჯრედში ირიცხება 40—კაცი.

1 ნოემბრიდან დაარსდა კიდევ ახალი უჯრედები. ერთი ნიკორწმინდის ა. ლ. კ. კ. უჯრედში, სადაც გამოტანილი იქნა დადგენილება, რომ ზემოდ აღნიშნულ კომკავშირის უჯრედის წევრთათვის სავალდებულო ყოფილიყო რემედას-ის წევრობა და აგრეთვე უპარტიო ახალგაზრდობაც შემოეკრიბათ რემედას-ის გარშემო, დღეს ამ უჯრედში ითვლება 30—კაცი.

ეწყობა კრებები, ირჩევა დებულებები და სხვადასხვა საკითხები. იკრიბება საწ. გადასახადები და სხვანი. გარდა ამისა დაარსდა კიდევ მე-2-რე რემედას-ის უჯრედი ქალთა დელეგატებისაგან, რომელშიაც ერთად ჩაეწერენ 43 დელეგატი ქალი წევრად. მუშაობა აქაც დამაკმაყოფილებელია, იკრებენ წევრებს გლეხ-ქალებისაგან, ჰკრებენ საწ. გადასახადებს-ყიდულობენ ლიტერატურას, აწყობენ კრებებს და სხვ.

განზრახულია კიდევ ამ სოფელში 3 ახალი რემ-უჯრედის დაარსება, რომელიც მოგვცემს არ, ნაკლებ 100 წევრისას.

ს. ნიკორწმინდაში სულ მოკლე ხანში ასე გამრავლდა რემედას-ის უჯრედებიც და წევრებიც. კარგი იქნება, რომ სხვა სოფლებიც წაბაძავდენ ნიკორწმინდის რემედას ის უჯრედებს და გაამრავლებდენ წევრებსაც და უჯრედებსაც ცოცხალი მუშაობით.

რემკორი: **ნ. კანდელაკი.**